კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი # 5

2015 წლის მაისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt –
Evangelischer
Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 1 მაისი – 31 მაისი - მიღწეული შედეგები:

მობილიზატორებმა ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ჩაატარეს სამობილიზაციო შეხვედრები.
- ტრადიციულ სამობილიზაციო შეხვედრებზე მობილიზატორებს არ გამორჩენიათ თვის მნიშვნელოვანი თარიღი: 17 მაისი - ოჯახის დღე. ამასთან დაკავშირებით ისაუბრეს ოჯახის სიმტკიცეზე და ქალის როლზე ოჯახში. შეხვედრების ძირითადი თემა იყო ძალადობისაგან ქალთა დაცვის მექანიზმები. აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტმა 10 წლის წინ მიიღო კანონი ძალადობის წინააღმდეგ, მაგრამ ის ჯერაც არ მოქმედებს ეფექტურად.
- სამობილიზაციო შეხვედრების შემდეგ ქალებმა მონაწილეობა მიიღეს ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ჩატარებულ ღონისძიებებში და ბევრმა მათგანმა შეძლო თავისი პრობლემის მოგვარება.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ სამობილიზაციო შეხვედრებს.
- ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკისა და ფოთის გარდა, სამობილიზაციო შეხვედრები მოეწყო სოფლებში: თერნალი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ნოსირი (სენაკის მუნიციპალიტეტი), კოკი და ხურჩა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). ამან კიდევ უფრო გაზარდა ინფორმირებული ადამიანების რიცხვი.
- სამობილიზაციო შეხვედრებს მოჰყვა თანამშრომლობის გაფართოება ცენტრებსა და სოფლის გამგეობებს შორის. ადგილობრივი გამგეობა ინფორმირებულია იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ფონდი „სოხუმი“ ეწევა ძალადობის პრევენციისათვის.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სოციალურ სამსახურებთან.

- ცენტრის მობილიზატორებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა გრძელდება. ექვსივე ქალაქის მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, გაეცნენ სიახლეებს და ინფორმაცია გაავრცელეს სამობილიზაციო შეხვედრებზე.
- ყოველთვიური შეხვედრები გაგრძელდა სოციალური სამსახურის უფროსებთან. მათ დეტალურად გაიგეს, რას აკეთებენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები ძალადობის პრევენციისთვის და რა ბარიერებს აწყდებიან მსხვერპლთა დახმარების საქმეში. თანამშრომლობის შედეგად ქუთაისის სოციალური სამსახურის წარმომადგენელმა ფონდ „სოხუმში“ გადმოამისამართა ძალადობის მსხვერპლი ქალბატონი, რომელსაც კონფლიქტი აქვს ოჯახში. მობილიზატორის დახმარებით ის ახლა ფონდის ფსიქოლოგთან რეაბილიტაციის კურსს გადის.
- წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა სამობილიზაციო შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღების შესახებ. სოციალურ სამსახურებს უკვე მიმართა რამდენიმე ომის ვეტერანმა კუთვნილი დახმარების მისაღებად.
- ერთ-ერთი ქალბატონის თხოვნით, სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა გაარკვიეს, რომ სოციალურად დაუცველებს ციფრულ მაუწყებლობას უფასოდ დაუმონტაჟებენ.

ტრენინგი მობილიზატორთა პოტენციალის ამაღლებისათვის

- ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობის გაძლიერების, მობილიზატორთა პოტენციალის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით ბათუმში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „პროექტების წერის ტექნიკა და მენეჯმენტი“. შედეგად, მობილიზატორებმა მუშაობის პროცესში საკუთარი იდეები შესაბამის ფორმატში ჩასვეს და ტრენინგის ბოლოს თითოეულმა ცენტრმა ერთი პროექტი შეიმუშავა.

დამატებითი ღონისძიებები ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში

-ქალთა მობილიზაციისა და ახალი ბენეფიციარების მოზიდვის მიზნით ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ჩატარდა მასტერ-კლასი კულინარიაში (ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი) და შეხვედრა ექიმ-რეპროდუქტოლოგთან (კოკი/ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი). ღონისძიებებში 33 ქალი ჩაერთო, მათ შორის 25 ახალი მონაწილე იყო.

პრობლემათა ადვოკატირება ცენტრების მობილიზატორების დახმარებით

-ქუთაისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილები ითხოვდნენ ბეტონის ღობის აღებას მათი საცხოვრებლის გარშემო. მათ დახმარებისათვის მიმართეს ქუთაისის მობილიზატორს. ადვოკატირების პროცესში ჩაერთო იურისტი, მისი რეკომენდაციით მომზადდა წერილი მერიის შესაბამის სამსახურებთან, ადვოკატირება პასუხის შესაბამისად გაგრძელდება.

-ფოთში, დევნილთა დასახლების ერთ-ერთი ბინის მცხოვრებლებმა დახმარებისთვის მიმართეს ქალთა მხარდაჭერის ცენტრს. მობილიზატორმა ადვოკატირების პროცესში ჩართო ცენტრის იურისტი, მომზადდა წერილი, რომელიც ბინის რამდენიმე წარმომადგენელმა გადასცა ქალაქის დასუფთავების სამსახურს. პრობლემა ორ დღეში მოგვარდა - საკანალიზაციო სისტემა გაიწმინდა.

- სენაკში ახლობლის დახმარებით ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მოაკითხა ქალბატონმა ხობის მუნიციპალიტეტის სოფლიდან. მას სჭირდებოდა სოციალურად დაუცველის სტატუსი. იურისტის კონსულტაციის შემდეგ მომზადდა ყველა დოკუმენტი. ქალბატონი აღრიცხვაზე იქნა აყვანილი.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი
-შეივსო 12 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს - ძალადობა ცოლზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. 12-დან მხოლოდ სამმა ისარგებლა ფსიქოლოგიური კონსულტაციით.

გაიზარდა მიმართვა იურისტებთან და ფსიქოლოგებთან. კონსულტაციების შედეგად მოგვარდა კონკრეტული პრობლემები.
- ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე დაფიქსირდა 2 ძალადობის მსხვერპლის ზარი.
- 1 ქალბატონს ფსიქოლოგმა გაუწია ონლაინ-კონსულტაცია, რადგან ის ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს ადგილზე მისვლას.
-ხონში ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტს მიმართა ქალბატონმა, რომელსაც სჭირდება ინფორმაცია განქორწინებასა და ალიმენტის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
-სენაკში იურისტს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა, რომელსაც საბანკო დავალიანების რესტრუქტურიზაცია სჭირდებოდა და სურდა ხელშეკრულების პუნქტების სწორად გაგება.
-ხურჩაში იურისტს კონსულტაცია სთხოვა ქალბატონმა მცირეწლოვანი ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებით.
- ფოთში იურისტს მიმართა ქალბატონმა საიჯარო ხელშეკრულების თაობაზე.
- ქუთაისში იურისტი დაეხმარა სამ მოქალაქეს განცხადების მომზადებაში სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ბათუმში, წყალტუბოსა და თბილისში.
-ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა რეფერალურ სუბიექტებთან. გამოიკვეთა, რომ თითოეულმა სუბიექტმა კარგად იცის საკუთარი მოვალეობები, თუმცა აქცენტი გაკეთდა მათ შორის არსებული კოორდინაციის დაბალ მაჩვენებელზე.
- ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი, სამინისტროში შექმნილი ოჯახში ძალადობის პრევენციის კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელი, ასევე - მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი. ინტერვიუს შედეგად მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი მასალა და მომზადდება საერთო ანალიზი.

გაიმართა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან თემაზე „გენდერი, გენდერული ძალადობა და ოჯახური კონფლიქტები“.
-მოგვარდა ოჯახური ურთიერთობები: ერთმა ქალმა, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა შვილებთან, ვორკშოპის მერე მოახერხა ურთიერთობის დარეგულირება.
-ორმა ქალმა ვორკშოპის შემდეგ მიმართა ფსიქოლოგს კონსულტაციისათვის.
- ვორკშოპის მონაწილე ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებმა თემაზე „როგორ ვმართავ კონფლიქტებს (კონფლიქტების მართვის პირადი სტრატეგიები)“ დისკუსიები ჩაატარეს ქუთაისში (სკოლა #14), ხონში (სკოლა #4), სენაკში (სკოლა #7). შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 31 ახალგაზრდამ.
- ერთ-ერთი ვორკშოპის მონაწილეებს - ქუთაისის მე-15 სკოლის მოსწავლეებს გაუჩნდათ იდეა, სკოლაში შექმნან სადისკუსიო კლუბი და იმსჯელონ სხვადასხვა საკითხზე.

ფორუმ-თეატრმა ჩაატარა დამატებითი წარმოდგენა ძალადობის თემაზე
- ფორუმ-თეატრის პირველი გამოსვლა გაიმართა ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე პარკში. მეორე წარმოდგენა - სოფელ მენჯის საჯარო სკოლაში (სენაკის მუნიციპალიტეტი), ესწრებოდნენ პედაგოგები და მოსწავლეები. გაჩნდა სკოლაში მსგავსი თეატრის ჩამოყალიბების იდეა.

- არასამთავრობო ორგანიზაციების კვირეულის ფარგლებში ფორუმ-თეატრმა გამართა დამატებითი ჩვენება ქუთაისის ცენტრალურ პარკში. ეს წარმოდგენა განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა - მაყურებელთა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა, მოზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, დისკუსიაში ჩაერთნენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მოზარდები.

აქტიურად მუშაობენ ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული კლუბები: სხვადასხვა აქტივობა გაიმართა სოფლებში, ჩაერთნენ ახალი ბენეფიციარები, გამოიკვეთა დაინტერესების მაღალი ხარისხი.

- კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) კლუბის მოხალისეებმა ახალგაზრდების ახალი ჯგუფი შემოიკრიბეს. 25 მონაწილიდან 18 პირველად მონაწილეობდა ღონისძიებაში. ახალგაზრდებმა შეხვედრა მოაწყვეს სოფელ ორსანტიაში.
- წყალტუბოს ჯგუფმა სოფელ ბანოჯაში მოაწყო ახალგაზრდებთან შეხვედრა თემაზე: „ოჯახი და ოჯახური ვალდებულებები“. დაიგეგმა დისკუსიის გაგრძელება მშობლებისა და ფსიქოლოგის მონაწილეობით. გამოჩნდნენ მსურველები, განსაკუთრებით - ახალგაზრდა მშობლები.
- სენაკში ახალგაზრდა მოხალისეებმა კერძო სკოლა „ეტალონში“ მოაწყვეს დისკუსია ძალადობის თემაზე. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგები, რესურს-ცენტრის წარმომადგენლები, მშობლები.
- ხონის ახალგაზრდული კლუბის მონაწილეებმა სოფელ ქუტირში გამართეს საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ნაადრევი ქორწინება და მისი ნეგატიური შედეგები“.
- ინფორმაციის გაცვლის და გამოცდილების გაზიარების მიზნით ქუთაისის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა მოიწვიეს ახალგაზრდა ლიდერი გოგონა, რომელმაც ჩაატარა ვორკშოპი თემაზე „გენდერული ძალადობა“.
- ფოთის ახალგაზრდული კლუბის მუშაობაში აქტიურად ჩაერთნენ სკოლის პედაგოგები. მე-7 სკოლის დირექტორმა გამოთქვა ინიციატივა, სკოლაში ჩამოაყალიბოს მსგავსი კლუბი და შექმნას სივრცე დისკუსიისა და თავისუფალი აზროვნებისთვის. ასეთივე სურვილი აქვთ სოფელ კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და სენაკის მე-7 საჯარო სკოლის დირექტორებს.
- ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდა აქტივისტებს ახალგაზრდულ საკრებულოში იწვევენ. ხონისა და სენაკის ახალგაზრდული კლუბების თითო წარმომადგენელი მუნიციპალიტეტების საკრებულოსთან შექმნილი ახალგაზრდული საკრებულოს წევრებად აირჩიეს.

მაისში ჩატარდა 87 აქტივობა.
მონაწილეობა მიიღო 998 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემაზე „ოჯახში ძალადობა, კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, ოჯახური კონფლიქტების მართვა – 330 მონაწილე
1 ტრენინგი მობილიზატორებისათვის - 11 მონაწილე
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 78 ადამიანი
6 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში - 54 მონაწილე
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 45 მონაწილე.
8 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 51 მონაწილე
6 ახალგაზრდული კლუბი – 92 მონაწილე
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 91 მონაწილე
3 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 145 მონაწილე

4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 18 მონაწილე
8 დამატებითი აქტივობა - 83 მონაწილე.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

.

ქუთაისი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა მუსიკალური სკოლა-ინტერნატის, #1 კოტეჯის და სასწავლო ცენტრის კოლექტიურ ცენტრებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრის აქტივისტებთან ფსიქოლოგმა იმუშავა თემაზე „კომუნიკაცია ვირჯინია სატირის მეთოდით".
6 კოლექტიურ ცენტრში გაიმართა ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედ-რები.
ფსიქოლოგმა ერთ ქალბატონს გაუწია ონლაინ-კონსულტაცია, რადგან ავადმყოფობის გამო ის ვერ ახერხებდა შეხვედრას.
ფორუმ-თეატრმა გამართა ორი წარმოდგენა ნინოშვილის ქუჩაზე და მერიის წინ.
იურისტის კონსულტაციაზე ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმა-ცია ადმინისტრაციული კანონის შესახებ.
იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა ქუთაისის 8 კოლექტი-ურ ცენტრში.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრაზე მოწვეული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „გოგონები მსოფლიოს ლიდერები" (GLOV Georgia) პროგრამის კურსდამთავრებული, გლოუს ელჩი ქუთაისში ანა ლომიძე, რომელმაც კლუბის წევრებს ჩაუტარა ვორკშოპი თემაზე „გენდერული ძალადობა".
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში კოოპერაციული ტექნიკუმის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ ქალებთან თემაზე: „გენდერი, გენდერული ძალადობა და ოჯახური კონფლიქტები".

წყალტუბო

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორების 6 სამობილიზაციო შეხვედრა გაიმართა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, მუზეუმი, სასტუმრო „ცენტროსოიუზი", სასტუმრო „წყალტუბო", სოფელი თერნალი.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „პიროვნული (ინდივიდუალური) და სოციალური პასუხისმგებლობა".
იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, რას ნიშნავს ქალის უფლებები, როგორ უნდა მოიქცეს მსხვერპლი მასზე ძალადობის შემთხვევაში, ვის უნდა მიმართონ სოციალურად დაუცველის სტატუსის მისაღებად.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა მიეძღვნა თემას „ეთიკა, ესთეტიკა, სქესობრივი აღზრდა, ნაადრევი ქორწინება".
კოლექტიურ ცენტრში ქალების ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ვორკშოპში თემაზე „გენდერი, გენდერული ძალადობა და ოჯახური კონფლიქტები".

ხონი

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##81,83, 84, 89, 91 სახლებში და ახალგაზრდობის ქუჩის მცხოვრებლებთან.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა ისაუბრა თემაზე „პიროვნული (ინდივიდუალური) და სოციალური პასუხისმგებლობა".
იურისტმა საინფორმაციო შეხვედრა მიუძღვნა საკითხს: მეურვეობა, ალიმენტის დანიშვნის პირობები.

ახალგაზრდული კლუბის წევრებმა საინტერესო დისკუსია გამართეს ეთიკის, ესთეტიკის, სქესობრივი აღზრდისა და ნაადრევი ქორწინების საკითხებზე.
ჩატარდა ორი ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში - ქალების ჯგუფთან და ახალგაზრდებთან.

ფოთი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა გაგრის ქუჩის ##9, 10, 10ა, 12, 13, 15 სახლებში ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგის ჩატარებული შეხვედრის თემა იყო „პიროვნული (ინდივიდუალური) და სოციალური პასუხისმგებლობა“.
იურისტის კონსულტაცია შემდეგ საკითხებს მოიცავდა: განქორწინება და მასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურები, ადვოკატის აყვანის წესი, სასამართლოსთვის საჭირო დოკუმენტაცია და სხვა.
მე-7 საჯარო სკოლაში მოეწყო ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე: „ეთიკა, ესთეტიკა, სქესობრივი აღზრდა, ნაადრევი ქორწინება“.

სენაკი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 5 სამობილიზაციო შეხვედრა ქალაქში (წითელი ჯვრის ოფისი, კოლექტიური ცენტრები „ეგრისი“, „კოლხეთი“, პროფტექნიკუმი, #139 პროფსასწავლებელი) და ერთი - სოფელ ნოსირში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგი ქალებს ესაუბრა თემაზე: „კომუნიკაცია ვირჯინია სატირის მეთოდით“.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხით: მეურვეობა და ალიმენტის დანიშვნის პირობები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-7 სკოლაში თემაზე; „ეთიკა, ესთეტიკა, სქესობრივი აღზრდა, ნაადრევი ქორწინება“.
ვორკშოპი ძალადობისა და კონფლიქტოლოგიის თემაზე გაიმართა ახალგაზრდების ჯგუფთან.

ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.
ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „კომუნიკაცია ვირჯინია სატირის მეთოდით“. ესწრებოდნენ სოფელ კოკიდან ჩამოსული ქალებიც.
იურისტის კონსულტაციაზე დაისვა საკითხი, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ვის შეიძლება მიმართოს ძალადობის მსხვერპლმა ან მისმა ახლობელმა და რა შეიძლება გააკეთოს.
კოკის საჯარო სკოლაში ჩატარებულ შეხვედრაზე ახალგაზრდებმა იმსჯელეს ნაადრევი ქორწინების ნეგატიურ შედეგებზე.

ისტორიები (სახელები შეცვლილია)

ფსიქოლოგთან მივიდა 60 წლამდე ასაკის ქალბატონი ლალი. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ მეუღლეს დიდი ხნის წინ გაცილდა. ვაჟი მამასთან იზრდება, ქალიშვილი კი - დედასთან. განქორწინების დროს მიღებული ტრავმა დღემდე მოყვება და სწორედ ეს გახდა დეპრესიის მიზეზი. ქალიშვილი მუშაობს, მაგრამ მცირე შემოსავალი აქვთ და ძალიან უჭირთ. სოციალურად დაუცველია, მადლიერების სახლში აღრიცხვაზეა და სადილი იქიდან მოაქვს. ეს მდგომარეობა მასზე ძალიან მოქმედებს. ფსიქოლოგთან პირველი ვიზიტის დროს ისტერიულად ტიროდა და საუბრის გაგრძელება ვერ შეძლო. ის ინტენსიურად იღებდა ფსიქოლოგის კონსულტაციას. ყოველი მომდევნო შეხვედრის შემდეგ სულ უფრო მეტად მშვიდდებოდა. ორი კვირის შემდეგ დეპრესიული აფეთქებები გაუქრა და განაცხადა: - მე

ასეთი კი არ ვიყავი... სულ სხვა ადამიანი ვიყავი და მინდა, რომ ისეთი გავხდე, სხვებზე ნაკლები რითი ვარ!
გაუჩნდა იმედი, რომ არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია. ყურადღება მიაქცია გარეგნობას, ჩაცმას, უფრო გახალისდა.

ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი შეხვდა ერთ-ერთი სკოლის პედაგოგებს. ერთმა პედაგოგმა ფსიქოლოგთან გადაამისამართა თავისი მოსწავლის დედა.
ქალბატონი მაია ორ შვილთან ერთად მოვიდა. გოგონა 11 წლის არის, პრობლემები დაიწყო მაშინ, როცა ექიმმა მას სათვალე გამოუწერა. ბავშვმა ეს ძალიან განიცადა და განაცხადა, რომ მეგობრები დასცინებდნენ, დედა კი აიძულებდა სათვალის გაკეთებას. ამ ნიადაგზე მათ შორის დაიწყო კონფლიქტი. გოგონამ რამდენჯერმე სცადა სათვალის დამტვრევა. როგორც გაირკვა, დედამ არასწორად განუმარტა გოგონას სათვალის აუცილებლობა, რამაც ბავშვის გაღიზიანება გამოიწვია. ფსიქოლოგი ცალკე, დედის გარეშე ესაუბრა გოგონას. გასაგებ ენაზე აუხსნა, რატომ იყო სათვალე აუცილებელი და დაარწმუნა, რომ მეგობრები არა თუ დასცინებდნენ, პირიქით, მოეწონებოდათ, რადგან სათვალე მოდურია და მის სახეს ძალიან უხდება. ფსიქოლოგი ესაუბრა დედას, მისცა რჩევები, როგორ მოექცეს შვილს. გოგონა აცხადებს, რომ მის მეგობრებს სათვალით ძალიან მოეწონათ, არავის დაუცინია, საკუთარი თავიც მოსწონს. დედასთან კონფლიქტიც დარეგულირდა.

ქალბატონ სვეტას, რომელსაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, დასჭირდა ფეხის თითების ამპუტაცია. ავადმყოფობის შემდეგ ძალიან გაღიზიანდა, ყველას ეჩხუბება. ეჩვენება, რომ არავის სჭირდება, ყველას მისი სიკვდილი უნდა. ფსიქოლოგმა მას ადგილზე მიაკითხა: ჩაუტარა თერაპია სხვადასხვა მეთოდით. სახლშიც მისცა დავალება, რომ სხვა რამეზე გადართულიყო. რადგან თვითონ ვერ ახერხებდა ფსიქოლოგთან მისვლას, დაენიშნა ონლაინ კონსულტაცია, რამაც შედეგი უკვე გამოიღო: სვეტა შეიცვალა, არა აქვს უიმედო მდგომარეობა. ცდილობს, ფეხზე დადგეს და საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

ერთ-ერთ სოფელში დაიკარგა ახალგაზრდა ქალბატონი, 3 მცირეწლოვანი შვილის დედა. რამდენიმე წლის წინ ის აღმოჩნდა ტრეფიკინგის მსხვერპლი, რის ნიადაგზეც ჯანმრთელობა შეერყა. ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. ბავშვებს რამდენიმე თვის წინ დაეღუპათ მამა და მოხუცი ბებიის იმედად არიან. ბებია სასოწარკვეთილია, არ იცის, როგორ მოიქცეს, სად ეძებოს თავისი ქალიშვილი. დახმარებისათვის მიმართა ფონდი „სოხუმის“ იურისტს. იურისტმა მაშინვე აცნობა პოლიციას და ოფიციალური ძებნა გამოცხადდა. პარალელურად მომზადდა ბავშვებზე მეურვეობის საბუთები.